

## პროგრამის სახელწოდება

### ბარის ორგანიზება და ფუნქციონირება (Bar organization and functioning)



**პროგრამის სახე:** მომზადება

**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში:** 10 კვირა

**კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა:** 25 საათი

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** ასაკი-18 წელი

**აპლიკანტთა შერჩევის ფორმა:** გასაუბრება

**პროგრამის მიზნები:** პროგრამის მიზანია მოამზადოს ბარის მომსახურების სპეციალისტი, რომელიც პასუხისმგებელია ბარის ყოველდღიურ გამართულ მუშაობაზე, სტუმართა კმაყოფილებაზე, ჰიგიენის და უსაფრთხოების სტანდარტების შესრულებაზე, ზრუნავს პროდუქტის ხარისხზე და მომსახურების სტანდარტების დაცვით უშუალოდ მონაწილეობს მის გაყიდვაში.

**პროგრამის მოკლე აღწერა:** პროფესიული მომზადების პროგრამა „ბარის ორგანიზება და ფუნქციონირება“, შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად ბარ-მენეჯერების ჩართულობით. პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ სრულწლოვან პირს-საბაზო განათლებით, რომელსაც აქვს სურვილი მოკლე დროში მიიღოს კონკრეტული ცოდნა/პროფესიული უნარები და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით. პროგრამის ხანგრძლივობაა 10 კვირა და მოიცავს 250 საკონტაქტო საათს. პროგრამა ხორციელდება სასწავლო დაწესებულებაში. პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: ბარის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, კლასიკური/პოპულარული კოქტეილების მომზადება და წარდგენა სტანდარტის შესაბამისად; ცხელი ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების მომზადება და წარდგენა დადგენილი ნორმების შესაბამისად. ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების მომზადება და წარდგენა სტანდარტის შესაბამისად სტუმრის მომსახურება და გასვლით ღონისძიებებზე შოუს მომზადება სხვადასხვა იმპროვიზებული და სამუშაო ფლეირინგის ელემენტების გამოყენებით. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდა და უნარები.

#### სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

- პირადი ჰიგიენის დაცვა;
- სანიტარულ-ჰიგიენური პროცედურების დაცვა;
- ბარის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების მომზადება და წარდგენა სტანდარტის შესაბამისად;
- კლასიკური/პოპულარული კოქტეილების მომზადება და წარდგენა სტანდარტის შესაბამისად;
- ცხელი ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების მომზადება და წარდგენა დადგენილი ნორმების შესაბამისად;
- სტუმრის მომსახურება და გასვლით ღონისძიებებზე შოუს მომზადება სხვადასხვა იმპროვიზებული და სამუშაო ფლეირინგის ელემენტების გამოყენებით;
- სასმელებით მომსახურების უზრუნველყოფა;
- პრობლემის აღმოფხვრის ორგანიზება სტუმრებთან მიმართებაში;

**დასაქმების სფერო:** პერსონალური მომსახურებები (ვიწრო სფერო)